

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

კახა ღლონტი

ნაშრომი დაიბეჭდა 1995 წელს

## დიონისე არეოპაგელის საიდუმლოება

დიონისე არეოპაგელის ტრაქტატების შესახებ, როგორც ქართულ ისე მსოფლიო მეცნიერებაში მრავალი გამოკვლევა არსებობს. მკვლევარები სხვადასხვა თვალსაზრისით განიხილავდნენ დიონისე არეოპაგელის პრობლემას. ჩვენც გვსურს გამოვთქვათ ჩვენი განსხვავებული მოსაზრება.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევარ ს. ყაუხჩიშვილის მართებული მოსაზრებით: „...ადმოსავლეთისა თუ დასავლეთ ვეროპის კულტურის ისტორიაში არაერთხელ აისახა ის სიღრმე აზროვნებისა, რომელიც საფუძვლად უდევს არეოპაგეტიკას. ისტორიაში დამტკიცდა, რომ არეოპაგეტიკული ტრაქტატები განეკუთვნება ისეთი მასშტაბის თხზულებებს, რომლებიც ყოველთვის იქნება საინტერესო საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის განვითარების პროცესში...“<sup>1</sup>

რაც შეეხება ავტორს გენიალური ტრაქტატებისა, ყველა დროის ცნობილ მკვლევართ აინტერესებდათ მისი ვინაობა, რადგანაც, მკვლევარ დ. ზუმბაძის სამართლიანი მოსაზრებით: „...დიონისე იქცა შუა საუკუნეთა უჩინარი სათავის მფლობელ და თავადაც იღუმალ და უხილავ შადრევნად, რომელიც საოცრად აგნებდა დიდებული სულის ტერფებს, იკვლევდა ყველა მაღალი სულის კარს და ამოსჩქეფდა ყველგან, რათა შემდეგ თავისი შადრევნის უმაღლესი ხელებით აესროლა ისინი ყველაზე დიდებული წალკოტების ყოფიერებაში...“<sup>2</sup>

მკვლევარის აზრით, ცნობილ სპეციალისტთა ფართო წრეს მიაჩნდა, რომ: „...დიონისე არეოპაგელის სახელის „ფსევდონიმად“ არჩევა ტრაქტატების ავტორის მიერ საკუთარი პიროვნების გაიდუმალების გარდა უნდა ჰფარავდეს სხვა საიდუმლოსაც. ერთი კი ცხადია: საიდუმლომ თავისი მისია ბრწყინვალედ შეასრულა. იგი მოქმედებდა საუკუნეებში, წყვილადში გასროლილი განათებული ისარივით და ზუსტად ხვდებოდა მიზანში ამოღებულ სულებს. დიონისე არეოპაგელის სახელთან დგას მთელი სპირიტუალური ლაშქარი - „მე-9-დან მე-17 საუკუნემდე“, - წერს ვეელინ ანდერჰილი. არეოპაგელის შრომები ჰკვებავდნენ ყველაზე სპირიტუალური ინტუიციების ადამიანებს და ჰფლობდნენ ავტორიტეტს, რომლის წარმოდგენაც ახლა ძნელია...“<sup>3</sup>

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ მართლაც გასაგებია ის ინტერესი, რასაც არეოპაგეტიკული თხზულებების ავტორის ვინაობა იწვევდა. ვინ იყო ის გენიოსი, ვის გონებასაც არეოპაგეტიკული თხზულებების შექმნა შეეძლო?

მკვლევარ დ. ზუმბაძის მოსაზრებით: „...დღეისათვის ფაქტიურად გადაწყვეტილია აზრი, რომ ტრაქტატები მე-4 საუკუნეს ეკუთვნის და I საუკუნის ათენელი ეპისკოპოსის სახელი - ავტორად ცნობილი დიონისე არეოპაგელი ფსევდონიმია მე-4 საუკუნის უცნობი მოაზროვნისა. ეს აღმოჩენა დღეისათვის სალექსიკონო ჭეშმარიტებად არის მიჩნეული...“<sup>4</sup> ეს მოსაზრება საკამათოა და ვერ დავეთანხმებით.

მკვლევარ კ. კეკელიძის მოსაზრებით: „...არეოპაგეტიკის შინაარსობრივად დეტალური შესწავლის შედეგად მეცნიერება მივიდა იმ ურყევ დებულებამდე, რომ მათი ავტორი არაა პირველი საუკუნის მოღვაწე დიონისე არეოპაგელი. რომ ისინი დაწერილია არაუადრეს მეხუთე საუკუნის მეორე ნახევრისა. მაშ ვინაა ნამდვილი ავტორი მათი? ამ საკითხზე მეცნიერება თავს იმტვრევს საუკუნეთა განმავლობაში, მაგრამ მისი გადაწყვეტა ვერ მოხერხდა...“<sup>5</sup> მკვლევარის ამ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით.

მკვლევარი დ. ზუმბაძე აღნიშნავს, რომ: „...მე-19 და მე-20 საუკუნეების ვეროპის მეცნიერებამ არეოპაგეტიკული ტრაქტატების შექმნის დროდ დაადგინა მეხუთე საუკუნე

ახ. წ. ა. დაადგინა, რომ დიონისე არეოპაგელი, პირველი საუკუნის ათენელი ეპისკოპოსი, მოწაფე პავლე მოციქულისა და დიდი ავტორიტეტი შემდგომ მთელი ეკლესიისა, მხოლოდ ნომინალური ინსპირატორია ტრაქტატების ნამდვილი დამწერისა...“:6 ეს მოსაზრება არ უნდა შეესაბამებოდეს სიმართლეს.

მკვლევარის მართებული მოსაზრებით: „...მართალია არეოპაგეტიკული ტრაქტატები დიონისე არეოპაგელის სახელით მწერაღს, ერთ ადამიანს მიეწერება, მაგრამ ტრაქტატების შინაარსით, დამწერისავე ცნობით ვიგებთ, რომ იგი ეკუთვნის ორ პიროვნებას, დამწერსა და მის მოძღვარს წმ. იეროთეოსს, მოძღვარის ავტორის მიერ წოდებულია „დიდ მზედ“ მისი მოძღვრებისა, წარმმართველად მისად და შუამავლად ღმერთთან, ხელთდამსხმელად ზეცის იერარქიული აღნაგობის წმინდა იდუმალებაში. ევროპის არაერთი მკვლევარი შეეხო იეროთეოსის საკითხს – ფ. ჰიპლერი, ფ. ი. გრიუმელი, ი. ხაუსჰერი, რ. როკი და სხვები. გაჭირდა მიკვლევა მისი, როგორც ისტორიული პიროვნებისა. ჯერ კიდევ ფრანც ჰიპლერი წერდა, რომ „თითქმის არაფერი არ არის ცნობილი იეროთეოსის შესახებ, გარდა იმისა, რასაც თვითონ დიონისე გვიამბობს თავის ტრაქტატებში. დიონისე კი გვიამბობს მხოლოდ იმას, რომ იეროთეოსი იყო მზე მისი მოძღვრებისა...“:7

დღევანდელი მონაცემების მიხედვით რაში მდგომარეობს არეოპაგეტიკული ტრაქტატების საიდუმლო? როგორც ვიცით, უძველესი ანტიქრისტიანული ოპოზიცია ადრეულ შუა საუკუნეებში იყო ნეოპლატონიზმი. როცა ნეოპლატონიზმის რადიკალურად ანტიქრისტიანული ფრთა – იამბლიხის სირიული სკოლა დამარცხდა, ნეოპლატონიკოსებმა იწყეს უკან დახევა, მებრძოლი პოზიციების დათმობა. ისინი ქრისტიანდებიან და ქმნიან ქრისტიანულ ეტაპს ნეოპლატონიზმის განვითარებაში, ქრისტიანულ ნეოპლატონიზმს.

ქრისტიანული ნეოპლატონიზმი ანტიკური ფილოსოფიის ნიადაგზე იწყებს ქრისტიანული დოგმატების დაფუძნებას. ეს ყველაზე კლასიკურად არის გაკეთებული ეგრეთწოდებულ „არეოპაგეტიკულ კორპუსში“, რომელიც მოიცავს ოთხ ფილოსოფიურ-იდეოლოგიური ხასიათის ტრაქტატს. „საღმრთოთა სახელთათვის“, „ზეცათა მღვდელმსახურებისათვის“, „საეკლესიო მღვდელმსახურებისათვის“, „საიდუმლო ღმრთისმეტყველებისათვის“ და ათ წერილს.

ამ ნაშრომთა მიზანი, როგორც ითქვა, არის ნეოპლატონური ფილოსოფიის საფუძველზე ქრისტიანული რელიგიის ძირითად დოგმათა თეორიული, სისტემური დაფუძნება. იგივე მიზანს კერძოდ, ქრისტიანობისა და ნეოპლატონიზმის შერწყმას, ემსახურებოდა დასავლეთში ბოეციუსის მოძღვრება. მაგრამ ორივე მოაზროვნე სხვადასხვაგვარად განახორციელებს ამ საერთო მიზანს. ბოეციუსი შეარიგებს ქრისტიანობის იდეას და ნეოპლატონიზმს. „არეოპაგეტიკულ კორპუსში“ კი ნაცადია მოციქულთა გამონათქვამების შერიგება ნეოპლატონიზმთან. ამასთანავე აქ დაცულია პირველისადმი მეორის სრული დაქვემდებარების პრინციპი.

„არეოპაგეტიკული კორპუსი“ ისე მადაღლირებული იყო, რომ ის 532 წელს, კონსტანტინოპოლის საეკლესიო კრებაზე მწვავე დისკუსიის დროს დაიმოწმა ერთ-ერთმა მოკამათე მხარემ და მიაწერა დიდ საეკლესიო ავტორიტეტს, პირველი საუკუნის მოღვაწეს, ათენის არეოპაგის ცნობილ წარმომადგენელს, პავლე მოციქულის თანამემამულეს და თანამოაზრეს დიონისე არეოპაგელს.

იმავე კრებაზე გამოითქვა ეჭვი ამ ავტორის ნამდვილობაზე. ეჭვის საფუძველი, რაც აღნიშნა თავის რეპლიკაში ეფესოელმა არქიეპისკოპოსმა ჰიპათისმა, იყო ის უცნაურობა, რომ აქამდე ეს ნაშრომები არავის დაუმოწმებია. რომ ისინი არც უხსენებია საეკლესიო წიგნების დიდ სისტემატიკოსს კირილე ალექსანდრიელს, რომელიც 446 წელს გარდაიცვალა.

გამოჩენილ მეცნიერთა ყურადღება და ინტერესი არეოპაგეტიკული წიგნებისადმი არც მომდევნო საუკუნეებში შეწყვეტილა. მე-15 საუკუნეში იტალიური რენესანსის წარმომადგენლებმა ლორენცო ვალამ და ნიდერლანდელმა ერაზმ როტერდამელმა გამოთქვეს ჰიპოთეზა, რომ არეოპაგეტიკული წიგნების ავტორი არ შეიძლება

ყოფილიყო I საუკუნის მოღვაწე, რადგან ამ წიგნებს მათი აზრით, აშკარად ატყვია მე-5 საუკუნის დიდი ნეოპლატონიკოსის პროკლეს იდეების ზეგავლენა და საერთოდ, მე-5 საუკუნის სააზროვნო სიტუაციების კვალი. ასე დაიმკვიდრა დასახელებული წიგნების ავტორმა ფსევდო-დიონისე არეოპაგელის სახელი.

ამრიგად, არეოპაგეტიკის საიდუმლოება მდგომარეობდა იმაში, რომ არაუადრეს მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში დაწერილი წიგნები მიეწერა პირველ საუკუნეში მცხოვრებ ადამიანს. ამ სიყალბის ჩამდენს, ცხადია, გარკვეული მიზანი ამოქმედებდა – წიგნში გატარებული მაშინდელი ქრისტიანობის საწინააღმდეგო აზრები, დიონისეს ავტორიტეტის გამოყენებით, ეკლესიისათვის მისაღები გაეხადათ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ მოსაზრებას არც იმ დროში იზიარებდა ყველა და არც ახლა იზიარებს.

„არეოპაგეტიკული კორპუსის“ ავტორობის დადგენა მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ ამ კორპუსმა დიდად განსაზღვრა არა მარტო შუა საუკუნეების ფილოსოფია, არამედ აღორძინების ხანისა და ახალი დროის ფილოსოფიური აზროვნება.

რეოპაგეტიკა ერთ-ერთ ხიდად გაიდო ანტიკურობასა და შუა საუკუნეებს შორის, რომელზედაც მძლავრად მოედინებოდა ანტიკური ფილოსოფიის გავლენა.

არეოპაგეტიკის საიდუმლოების ამოცნობას მრავალი თეორია მიეძღვნა, მაგრამ, როგორც ქართულ სამეცნიერო წრეებში იყო მიჩნეული და აღიარებული, მისი ყველაზე საინტერესო გადაწყვეტა ჩვენს დროში მოხდა. მეოცე საუკუნის ორმოციან წლებში ქართველი მეცნიერი შალვა ნუცუბიძე ხანგრძლივი კვლევა-ძიების შემდეგ და მისგან დამოუკიდებლად, რამდენადმე მოგვიანებით ბელგიელი პროფესორი ერნესტ ჰონიგმანი ქმნიან თეორიას, რომ არეოპაგეტიკული წიგნების ავტორი არის მე-5 საუკუნეში მოღვაწე პეტრე იბერი.

პეტრე იბერი თავისთავად აღნიშნულ თეორიასთან კავშირის გარეშეც შუა საუკუნეების აზროვნებისა და კულტურის ერთ-ერთი დიდი წარმომადგენელია. ის ცენტრალურ, თვალსაჩინო ფიგურას წარმოადგენდა როგორც ქართულ, ისე სირიის სასულიერო კულტურაში. სირია კი ბერძნული და აღმოსავლური კულტურების გამშუალბელი და დამაკავშირებელი რგოლი იყო.

ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორიის ძირითადი არგუმენტები ფსევდო-დიონისე არეოპაგელის და პეტრე იბერის იდენტობის სასარგებლოდ შემდეგში მდგომარეობს:

1. პეტრე იბერის გამონათქვამები, რომლებიც მის ბიოგრაფიებშია დაცული, საოცრად ემთხვევა „არეოპაგეტიკული კორპუსის“ ძირითად ცნებებსა და ტერმინებს.

2. ფსევდო-დიონისე თავის მასწავლებლად ასახელებს ვინმე იეროთეოსს. ამ სახელს კი პეტრე იბერი, ბიოგრაფთა გადმოცემით, მეტსახელად უწოდებდა თავის მასწავლებელს იოანე ლაზს. ეს სიტყვა ბერძნულად აღნიშნავს „ღვთის ტაძარს“.

3. „ღაზის ეპისკოპოსთა წრეში, სადაც უნდა ვეძებოთ ყველა ნიშნის მიხედვით „არეოპაგეტიკული კორპუსის“ ავტორი, მხოლოდ პეტრე იცნობდა პროკლეს, ვინაიდან მისი მასწავლებელი პროკლეს ფილოსოფიის მიმდევარი იყო.

4. ბერძნული, სირიული და რომაული ეკლესიები ერთხმად აღნიშნავენ წმ.

იეროთეოსის დღეს 4 ოქტომბერს. ამასთანავე გამოირკვა, რომ იოანე გარდაიცვალა სწორედ 4 ოქტომბერს.

მკვლევარ ზ. ხასაიას მოსაზრებით: „...ეს კიდევ ერთი საბუთია იოანე ლაზისა და იეროთეოსის იგივეობისათვის. აქედან კი ფსევდო-დიონისესა და პეტრე იბერის იგივეობისათვის...“<sup>8</sup>

ჯერ განვიხილოთ აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის არგუმენტები.

დიონისური ციებ-ცხელება – როგორც ეს 1951 წელს აღნიშნა ჟ. ორ. ნიუმ – კარგახანია დასავლეთ ევროპაში მინელდა. ჩვენში საქართველოშიც, ფსევდო-დიონისესა და პეტრე იბერიელის იდენტურობის ჰიპოთეზით გამოწვეულ აჟიოტაჟსა და პოლემიკას შეენაცვლა წყნარი მეცნიერული კვლევა-ძიება და ობიექტური განსჯა. ამის გამო არეოპაგეტიკის ქართველ მკვლევართა წინაშე დადგა ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი:

რა ცნობები მოგვეპოვება ძველ ქართულ მწერლობაში ფსევდო-დიონისესა და პეტრე იბერის გარშემო და როგორია მათი მიმართება ნუცუბიძე-ჰონიგმანის ჰიპოთეზასთან.

როგორც ცნობილი მკვლევარი ი. ლოლაშვილი აღნიშნავს: „...საქართველოში გამოითქვა მოსაზრება, რომ XI-XIII საუკუნეების ქართველმა მეცნიერებმა და მწერლებმა (იგულისხმებიან ევრემ მცირე, არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი, შოთა რუსთაველი და ჩახრუხაძე). იცოდნენ, თუ დიონისე არეოპაგელის ფსევდონიმს ამოფარებული მწერალი ვინ იყო, მაგრამ მის სახელს ვერ ამჟღავნებდნენ, მაშინდელი საეკლესიო ცენზურის მკაცრი რეჟიმის გამო. უკეთ იცოდნენ, რომ არეოპაგეტიკული წიგნები შეთხზა მე-5 საუკუნის საზღვარგარეთელმა ქართველმა მოღვაწემ პეტრე იბერიელმა, რომელიც რელიგიური აღმსარებლობით იყო მონოფიზიტი და ქართველ მართლმადიდებელთაგან დევნილი პიროვნება...“<sup>9</sup>

ეს მოსაზრება გამოთქვა აკადემიკოსმა შალვა ნუცუბიძემ. საბოლოოდ მკვლევარის ჰიპოთეზა შემდგენიარად ჩამოყალიბდა: „...პეტრე იბერიელმა (ფსევდო-დიონისემ) იოანე ლაზთან ერთად ქართულად „განმარტებითი ამოკრეფის მეთოდით“ გადმოიღო პროკლეს „კავშირნი ღვთისმეტყველებითნი“ და შეიმუშავა მისი ბერძნული რედაქცია, რომელმაც ავტორს დიდების სახელი მოუპოვა. ეს რედაქცია პეტრეს მოწაფემ სერგეი რეშაინელმა არეოპაგეტიკულ წიგნებთან ერთად სირიულზე გადათარგმნა. მოგვიანებით იგი გადათარგმნეს არაბულ-ლათინურ ენებზე და მსოფლიოში გავრცელდა „მიზეზთა წიგნის“ სახელით. შრომა, რომელიც გამოიყენა პეტრე იბერიელმა თავის წიგნში „საღმრთოთა სახელთათვის“. არც ქართულად და არც ბერძნულად დაცული არაა. ბერძნული დედანი ადრევე დაიკარგა, ქართული კი საქართველოში ჩამოიტანა ცამეტმა ასურელმა მოღვაწემ. მოგვიანებით ქართული დედანი ხელთ ჩაუვარდა იოანე პეტრიწს, რომელმაც პროკლეს თხზულების ხელახალ თარგმანში მისი პირველად მთარგმნელი გააკრიტიკა...“

„კავშირთა“ პირველ გადმომღებელს, „დიდების შარავანდელით მოსილს“ დაეხარა ქართველებისათვის დაწვრილებით გაეცნო მოძღვრება პირველი მიზეზის შესახებო. ამიტომ, იოანემ პროკლეს შრომა ქართულად გადმოთარგმნა და მისი კომენტარები არეოპაგეტიკული წიგნების საფუძველზე დაწერა. პირველი თარგმანი მეორემ განდევნა. იგი დაიკარგა მონღოლების შემოსევის გამო, „საქართველოში გაძლიერებული ფეოდალური რეაქციის შემდეგ“.

ამ ჰიპოთეზის დასასაბუთებლად შ. ნუცუბიძემ მოიშველია ოთხი წინამძღვარი:

1. ფსევდო-დიონისეს მოწმობა „ამის პირისთვის (ქრისტესათვის – ი. ლ.) ჩუენ მიერცა კმასაყოფელად თქმული არს სხუათა ადგილთა შინა და კუალად დიდებულისა მისცა წინამძღუარსა ჩუენისაგანცა ზეშთა ბუნებისა საგალობელ ქმნულ არს ღმრთისმეტყველებითა მათ შინა მისთა თხრობის შენივთებითა“.

2. „მიზეზთა წიგნის“ ექსცერტები, რომლებიც ჩართულია ფსევდო-დიონისეს „საღმრთო სახელთა“ განმარტებაში“.

3. ის ფაქტი, რომ პეტრეს მოწაფემ სერგეი რეშაინელმა სირიულად თარგმნა არეოპაგეტიკულ წიგნებთან ერთად „მიზეზთა წიგნიც“.

4. იოანე პეტრიწის ციტატა „არამედ მიზეზი აწ კუალად გარდმოღებად... ულუპიანთა ძლევანი“, რომელმაც ესოდენ გაცხოველებული პოლემიკა გამოიწვია ჩვენს მეცნიერებაში. ამ წინამძღვართა შორის ყველაზე მეტი ღირებულება მკვლევარმა მიანიჭა მეოთხე „მოწმობას“, რომელიც შალვა ნუცუბიძის ერთადერთ ძირითად საყრდენს წარმოადგენს. იგი წერს: „იოანე პეტრიწის „განმარტების“ გარეშე, რომელიც (დიონისეს) „მიზეზთა წიგნის“ განმეორებაა უფრო ვრცელ მასალაზე, შეუძლებელია დაისვას და გადაწყდეს „მიზეზთა წიგნის“ (ე. ი. პროკლეს „კავშირთა“ პირველი გადმომღების – ი. ლ) ავტორისა და საზოგადოდ იდურ-შინაარსული გენეზისის საკითხი“. ეს გასაგებებია: თუ პეტრიწი ამბობს, რომ „მიზეზთა წიგნი“ (არეოპაგეტიკული წიგნების წყარო) პროკლეს თხზულების პირველი ქართული გადმომღებაა, რომელიც თითქოს შეუსრულებია „დიდების შარავანდელით მოსილ“ პეტრე იბერს, მაშინ საკითხი გარკვეული ყოფილა.

ფსევდო-დიონისე ყოფილა ორენოვანი მწერალი – ტომით ქართველი, იგივე პეტრე იბერი“.

იოანე პეტრიწის ბერძნულიდან თარგმნილი ტექსტის კრიტიკულად განხილვის შემდეგ ივანე ლოლაშვილი მიდის შემდეგ დასკვნამდე: „...იოანე პეტრიწი „კომენტარების“ ბოლო სიტყვაში მსჯელობს არა პროკლეს „თეოლოგიის ელემენტთა“ პირველ ქართულ თარგმანზე, რომელიც პეტრიწამდე საერთოდ არ არსებობდა, არამედ ბიბლიური (კერძოდ – მოსეს წიგნების) „კვალად გადმოღებაზე“ და ეკამათება არა პეტრე იბერიელს, არამედ ბიბლიური წიგნების ადრინდელ მთარგმნელებს, მათ შორის გიორგი მთაწმინდელს, რომელმაც მოგვცა ოთხთავის კანონიკური რეცენზია. აქ არაფერ შუაშია „დიდების შარავანდედით მოსილი“ პირი, რომელსაც თითქოს „დაეხარა ქართველებისათვის დაწვრილებით გაეცნო მოძღვრება პირველი მიზეზის შესახებ, არამედ პოლემიკა მიმართულია გიორგი მთაწმინდელის წინააღმდეგ, რომელსაც ავტორის თქმით, „გარემოხუევითა დიდებითისა თნებისათა წარეცონა სამხილი უსწავლელობისაი“.

მეცნიერები (პ. ინგოროყვა, ს. ყაუხჩიშვილი, შ. ნუცუბიძე), რომლებსაც მიაჩნდათ, რომ პეტრიწი საუბრობს პროკლეს წიგნის პირველ ქართულ „გადმოღებაზე“, ფრაზას „არამედ მიზეზი ამისა ესეობს“, განიხილავენ იმ წინა აბზაცისაგან დამოუკიდებლად, რომელშიც პეტრიწი ეხება მოსეს წიგნებს. აღნიშნული აბზაცის წინ კი მართლაც მოსეს წიგნზეა საუბარი.

ამრიგად, იოანე პეტრიწის შრომებში არსად არ გვხვდება ცნობა, რომ მიზეზთა წიგნის ავტორი პეტრე იბერიელია. არც უბრალოდ მინიშნება თუ ვინაა ფსევდო-დიონისე და არც სადმე იხსენიება პეტრე იბერიელი, როგორც საეკლესიო მოღვაწე და არეოპაგეტიკული წიგნების ავტორი. ქართული მასალების განხილვის შედეგად ირკვევა, რომ შუა საუკუნეების საქართველოში ფსევდო-დიონისეს შესახებ იცოდნენ მხოლოდ ის, რაც ცნობილი იყო მაშინდელ ბიზანტიურ სასულიერო მწერლობაში.

მიტომ, ქართული მასალები არ უჭერს მხარს ფსევდო-დიონისესა და პეტრე იბერიელის იდენტიფიკაციის ნუცუბიძე-ჰონიგმანისეულ ჰიპოთეზას...“<sup>10</sup> ეს არის მკვლევარის ობიექტური და მისაღები მოსაზრება.

დასავლეთის მეცნიერული პუბლიკაცია ჰონიგმანის შრომას დიდი აღტაცებით შეხვდა. მაგალითად, ცნობილი მეცნიერი ფრ. დოვლეგერი ჰონიგმანის წიგნის მიმოხილვას ამთავრებს განცხადებით: „...მე ვფიქრობ, რომ თავისი დაკვირვებით ჰონიგმანმა გადაწყვიტა დიდი ხნის განმავლობაში მეცნიერებისათვის მტკივნეული საკითხი...“. ხოლო ბრიუსელში გამომავალი ორგანო ბიზანტიონი შეეხო რა ჰონიგმანის შეფასების საკითხს, წერდა: „...ამიერიდან არც ერთ ისტორიკოსს, თეოლოგს თუ ფილოლოგს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან არეოპაგეტიკული წიგნების წარმოშობის საკითხით, არ შეუძლია გვერდი აუაროს იმ მეტად მოქნილ შეფარდებებს, რომლებიც ჰონიგმანმა აღმოაჩინა...“<sup>11</sup>

გამოითქვა სხვა მოსაზრებანიც, რომელთაგან ზოგიერთი მეცნიერი მხარს უჭერდა ნუცუბიძე-ჰონიგმანის ჰიპოთეზას, ზოგიერთი კი მის წინააღმდეგ გამოდიოდა.

რაში მდგომარეობს ჰონიგმანის არგუმენტაცია?

მკვლევარ დ. ზუმბაძის მოსაზრებით: „...ტრაქტატების შინაარსით, დამწერისავე ცნობით ვიგებთ, რომ ტრაქტატების ავტორობა ეკუთვნის დიონისე არეოპაგელს და მის მოძღვარს იეროთეოსს. მოძღვარი ავტორის მიერ წოდებულია „დიდ მზედ“ მისი მოძღვრებისა, წარმმართველად მისად და შუამავლად ღმერთთან, ხელთდამსხმელად ზეცის იერარქიული აღნაგობის წმინდა იდუმალებაში.

მართლაც – დიონისე არეოპაგელი თავის თხზულებაში „ზეციური იერარქია“ გვთავაზობს ზეციურ ძალთა იერარქიულ სისტემას, რომლის მოძღვრადაც იეროთეოსია დასახელებული. ხოლო პეტრე იბერის ბერძნულად დაწერილ ცხოვრებაში, პეტრეს თანამოსენაკე და თანამზრახველი იოანე ლაზი ავტორის მიერ წარმოდგენილია მეორედ მოსვლისა და ზეციურ ძალთა ნათელმხილველად. რადგანაც ნუცუბიძე – ჰონიგმანის თეორიის მიხედვით, იოანე ლაზი იგივე იეროთეოსია...“<sup>12</sup>

საჭიროა ჰონიგმანის მიერ იოანე ლაზისა და იეროთეოსის გაიგივებისათვის მოყვანილი არგუმენტების განხილვა:

1. ფსევდო დიონისე თავის მასწავლებლად ასახელებს იეროთეოსს. ამ სახელს კი პეტრე იბერი ბიოგრაფთა გადმოცემით, მეტსახელად უწოდებდა თავის მასწავლებელს – იოანე ლაზს. ეს სიტყვა კი ბერძნულად აღნიშნავს „ღვთის ტაძარს“.

1. ბერძნული, სირიული და რომაული ეკლესიები ერთხმად აღნიშნავენ წმ. იეროთეოსის დღეს 4 ოქტომბერს. ამასთანავე გამოირკვა, რომ იოანე ლაზი გარდაიცვალა სწორედ ოთხ ოქტომბერს.

2. იოანე ლაზის იდეათა დამთხვევა იეროთეოსისადმი მიწერილ იდეებთან, უმთავრესად ტრაქტატებში „სადმართოთა სახელთათვის“ და „ზეცათა მღვდელმთავრებისათვის“. ეს იდეებია ძირითადად სამყაროს (ზეციური) იერარქიის შესახებ ორივეს გამონათქვამთა მსგავსება.

როგორც ვხედავთ, იეროთეოსი უდიდეს როლს თამაშობს არეოპაგეტიკული კორპუსის ავტორის დადგენის საკითხში. პროფესორ ჰონიგმანის ნაშრომში იეროთეოსის როლი განსაკუთრებით არის აღნიშნული. თავად ჰონიგმანი აღნიშნავს, რომ არც ერთი თეოლოგი არ შეიძლებოდა ყოფილიყო ფსევდო-დიონისეს წყარო, თუ არა იეროთეოსი. ერთი სიტყვით, იეროთეოსის საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია არეოპაგეტიკული ტრაქტატების ავტორის ვინაობის გარკვევაში, რომ იგი წარმოადგენს „გასაღებს“ არეოპაგეტიკულ კვლევა-ძიებისათვის. მეცნიერთა აზრით, „იეროთეოსი“ როგორც სახელი, შემუშავებულია თავად დიონისე არეოპაგელის მიერ, რომელიც ეკუთვნის რეალურად არსებულ ადამიანს. აგრეთვე ის, რომ იეროთეოსისა და პროკლეს შესხედულებანი იმდენად ემთხვევა ერთმანეთს, რომ თუ კი გერმანელი მეცნიერები ჯოზეფ შლიგმაიერი და ჰერმან კოხი დაამტკიცებდნენ, რომ იეროთეოსი, თავად პროკლეა, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა გადაწვეტილიყო ფსევდო-დიონისეს პრობლემა. აგრეთვე ის, რომ ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ტრაქტატების წარმოდგენა შეუძლებელია პროკლეს გარეშე, რადგანაც ისევე, როგორც იოანე პეტრიწის ფილოსოფია, თავად არეოპაგეტიკული ტრაქტატები წარმოადგენდნენ პროკლეს ფილოსოფიაზე აგებულ ახალ ფილოსოფიურ სისტემას.

ამ საკითხებს უკვე დიდი ხანია გაეცათ პასუხი, მაგრამ ჩვენ მათ მაინც გავიმეორებთ.

ის, რომ პეტრე იბერი იოანე ლაზს იეროთეოსს ეძახდა, სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ იოანე ლაზი იგივე პიროვნებაა, რომელიც დიონისე არეოპაგელის ტრაქტატებშია მოხსენებული იეროთეოსის სახელით. არც ის, რომ ბერძნული, სირიული და რომაული ეკლესიები იეროთეოსის მოსახსენებელ დღედ აღნიშნავენ 4 ოქტომბერს, ხოლო იოანე ლაზი გარდაიცვალა 4 ოქტომბერს, არ ნიშნავს მათ იგივეობას.

როგორც მკვლევარი ი. ლოლაშვილი აღნიშნავს, ამ საკითხს პროფესორი ჰონიგმანი შემდგენაირად ხსნის: „...პეტრე იბერიელმა თავის სიცოცხლეში დაადგინა იეროთეოსის ხსენების დღედ 4 ოქტომბერი, როგორც თავისი საკუთარი მეგობრის იოანე ლაზის გარდაცვალების თარიღი. იმ დროისათვის, როდესაც ქალკედონის კრებაზე აღიარეს არეოპაგეტიკული წიგნები ძველ და ორთოდოქსალურ ნაწერებად, უკვე არსებობდა აღმოსავლური ტრადიცია, რომ იეროთეოსი გარდაიცვალა ოთხ ოქტომბერს. ეს ტრადიცია სირიაში მიიღეს დიონისე არეოპაგელის გარდაცვალების თარიღადაც, რომელსაც თურმე დღესასწაულობდნენ მონოფიზიტები და სრულიად გასაგები მიზეზების გამო ამ თარიღის აღსანიშნავად დაადგინეს სამი ოქტომბერი, იეროთეოსის გარდაცვალების წინა დღე. ნაცვლად იმისა, რომ დიონისეს ხსენების დღე დაეახლოვებინათ პირველი დეკემბრისათვის, როდესაც გარდაიცვალა პეტრე იბერიელი, პროტოტიპი დიონისე არეოპაგელისა...“<sup>13</sup>

ესე იგი, ჯერ დააწესეს იოანე ლაზის (იეროთეოსის) სახელის ქვეშ მოსახსენებელი, მან კი თავისთან მოიზიდა პეტრე იბერის (დიონისე არეოპაგელის) მოსახსენებელი.

ი. ლოლაშვილი მიუთითებს, რომ ამ მოსაზრების წინააღმდეგ სავსებით სამართლიანად გამოვიდა ჰ. ენბერდინგი. მისი სიტყვებით: „...მთავარი დღესასწაული თავისკენ იზიდავს (იახლოებს) დაქვემდებარებულს. გვერდითი დღესასწაული, ყოველთვის უკან მისდევს მას, როგორც ამ დღის გაგრძელება...“

დიონისესა და იეროთეოსის ხსენების დღეთა დაწესება მოხდა ბიზანტიურ-ქრისტიანულ სამყაროში და არა დასავლეთის სირიის მონოფიზიტურ გარემოში.

ხსენების დღეთა თანმიმდევრობა განსაზღვრა მოძღვარ-მოწაფის ურთიერთობამ, ორივე დღესასწაულის შინაარსობრივმა ხასიათმა და მნიშვნელობამ. ეკლესიამ ჯერ დააწესა დიონისეს ხსენების დღე 3 ოქტომბერი (დიონისეს წამების დღე), ხოლო შემდეგ იეროთეოსის ხსენების დღე. ეს უკანასკნელი პირველს დაუახლოვა იმიტომ, რომ იეროთეოსის დღესასწაული შინაარსობრივად ავსებს დიონისეს საეკლესიო კულტს.

კორნელი კეკელიძის სამართლიანი შენიშვნით, „ამ შემთხვევაში არავითარ როლს არ თამაშობენ პეტრე იბერი და იოანე ევნუქი...“<sup>14</sup>

მოკლედ დავახასიათოთ დიონისე არეოპაგელის „ზეციურ იერარქიაში“ მოცემული ზეციურ ძალთა იერარქიული სისტემა.

როგორც მკვლევარი ა. გაწერელია აღნიშნავს: „...ეს სამი ტრიადა (სამი დასი) დიონისე არეოპაგელის სწავლებით შემდეგია:

1. სერაფიმნი, ქერუბიმნი და საყდარნი.
2. უფლებანი, ძაღნი, ხელმწიფეთანი.
3. მთავრობანი, მთავარანგელოზნი და ანგელოზნი...“<sup>15</sup>

რაც შეეხება იოანე ლაზის მიერ მეორედ მოსვლის ხილვას პეტრე იბერის ბერძნულად დაწერილ ცხოვრებაში, პატივცემული მეცნიერის ა. გაწერელიას მოსაზრებით იგი შემდეგნაირად არის მოცემული: „...უცბად ცა გაიხსნა, მოისმა საყვირთა ხმა, იძრა მიწა, მოხდა ცვლილება, ე. ი. კავშირთა შეცვლა. ყველაფერი აღივსო შუქით, ყველაფერს დამსხვრევის საშიშროება მოელოდა, ყველაფერი ირყეოდა და არეკ-დარეკა იყო. წინ მოდიოდნენ ანგელოზები და უფლებანი, სერაფიმნი და ყველა მათ შემდეგ უფლის ჯვარის სათაყვანებელი და გამკურნებელი ნიში და თვით უფალი მაცხოვარი და მესია. ჰონიგმანი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ დიონისეს ტრაქტატში „ზეციური იერარქიის შესახებ“ ანგელოზთა ტრიადები იოანე ლაზის ჩვენებაში შებრუნებითაა გადმოცემული. მაგრამ მას არ აკრთობს ის გარემოება, რომ ფსევდო-დიონისეს ტრიადებში სრულიად არ გვხვდება იოანეს ზმანებაში დასახელებული „წმინდა მოციქულნი“, „მართალნი“, „მოწამენი“, „ზეცის რაზმელები...“<sup>16</sup>

ა. გაწერელია აღნიშნავს, რომ: „...იგი საგანგებოდ აფრთხილებს მკითხველს, რომ იოანე ლაზი გარდაიცვალა 464 წელს. მისი ხილვა პეტრეს ნაამბობის მიხედვით, ძალიან დაგვიანებით და თავის მესხიერებაზე დაყრდნობით ჩასწერა იოანე რუფუსმა 518 წელს და ასეთ ვითარებაში პასაჟთა სრული იდენტურობა არ არის მოსალოდნელი...“<sup>17</sup>

ბატონი ა. გაწერელია მიუთითებს, რომ: „...ჰონიგმანის თეორიას, კერძოდ, იოანე ლაზის ჩვენებასა და დიონისეს ტრიადების შეპირისპირებას (ანგელოლოგიაში ანალოგიური ტრიადების მოხმობით) ვრცლად შეეხო რ. როკი თავის მონუმენტურ „იდეოლოგიის სტრუქტურაში“ (პარიზი 1962, გვ. 110-113), რაზეც ვალტერ ვოლკერმა აგრეთვე ფუნდამენტური მონოგრაფიის „ხილვა და ექსტაზი ფსევდო-დიონისე არეოპაგელთან (ვისბადენი 1958) ავტორმა განაცხადა „...პეტრე ვიზიონერია, მისი ხილვების შინაარსი შესამჩნევად განსხვავდება დიონისეს ხილვათაგან. ამასთან ანგელოზების ჩამოთვლაში არაა (დაცული) ტრადიციული სქემა. რენე როკმა, დიონისეს ერთერთმა საუკეთესო მცოდნემ, თანმიმდევრულად გაარჩია და დაამტკიცა ჰონიგმანის პიპოთეზის უსუსურობა და რომ რენე როკმა ყურადღება მიაქცია პეტრეს ექსტაზებს, რომელთაც სულ სხვა ხასიათი აქვს, ვიდრე „კორპუსში“ ასახულ ექსტაზებს...“<sup>18</sup>

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, „არეოპაგიტული კორპუსი“ წარმოადგენს პროკლეს ფილოსოფიაზე აღმოცენებულ ახალ ფილოსოფიურ სისტემას. ერთი სიტყვით, არეოპაგეტიკა წარმოუდგენელია პროკლეს გარემო. რა შეიძლება ვუპასუხოთ ასეთ მოსაზრებას?

მკვლევარ დ. ზუმბადის სავესებით მართებული მოსაზრებით: „...ცხადია არ არის საჭირო ბევრი დავა იმისათვის, რომ ყველა ნეოპლატონიკოსი პირველ რიგში პლატონიდან ამოდის და ყველაზე მეტად თვითთულზე არსებობს პლატონის გავლენა. შესაძლოა ეს გავლენა რომელიმე თანამოაზრის გზით ძლიერდებოდეს ან გარკვეულ ელფერს იღებდეს. მაგრამ პირველწყაროდ უნდა მივიჩნიოთ პლატონი, რადგან შეუძლებელია იმის დასაბუთება, რომ რომელიმე მათგანი (დიონისე არეოპაგელი), არ იცნობდა პლატონს უშუალოდ და იცნობდა რომელიმე გზით. ჩვენი აზრით, ეს აბსურდია. ბოროტების დიონისური თეორია, (ისევე როგორც არეოპაგეტიკის სხვა იდეები) იმიტომ ჰგავს პროკლეს იდეებს, რომ ორივეს ერთი და იგივე წყარო აქვს. ასევე წარმატებით შეიძლება ითქვას, რომ დიონისე პირდაპირ „გადმოწერს“ პლატონს. ხანდახან ისეთი შთაბეჭდილებაც კი იქმნება, რომ იგი პირდაპირ აწყობს მის მსჯელობებს...“<sup>19</sup>

ესე იგი, დიონისე არეოპაგელის უშუალო წყაროს წარმოადგენს არა პროკლე, არამედ პლატონი და დიონისე არეოპაგელის ნაწარმოები ისევე წარმატებით შეიძლებოდა დაწერილიყო პირველ საუკუნეში, როგორც მეხუთეში.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ევროპის არაერთი მკვლევარი შეესო იეროთეოსის საკითხს ფ. ჰიპლერი, ფ. ი. გრიუმელი, ი. ხაუსჰერი, რ. როკი და სხვები. გაჭირდა მიკვლევა მისი, როგორც ისტორიული პიროვნებისა. ჯერ კიდევ ფრანც ჰიპლერი წერდა, რომ: „...თითქმის არაფერი არ არის ცნობილი იეროთეოსის შესახებ, გარდა იმისა, რასაც თვითონ დიონისე გვიამბობს თავის ტრაქტატებში. დიონისე კი გვიამბობს მხოლოდ იმას, რომ იეროთეოსი იყო მზე მისი მოძღვრებისა...“ (ზუმბადე).

იეროთეოსის შესახებ გარკვეული მოსაზრებები ეკუთვნის „არეოპაგეტული კორპუსის“ ერთ-ერთ საინტერესო მკვლევარს, ბატონ აკაკი გაწერელიას. მისი სიტყვებით: „...როკის, ჰაუსჰერის და ენგბერდინგის ნარკვევები ღრმა ერუდიციითა და იშვიათი ცოდნითაა დაწერილი. ლიტერატურა, რომელსაც ისინი იმეორებენ, ჩვენში ნაკლებად ხელმისაწვდომია, მაგრამ მიაბიტობა იქნებოდა იმის თქმა, თითქოს მათი საბუთების საწინააღმდეგოდ შეუძლებელია რაიმე არგუმენტის წამოყენება. მთელ რიგ საკითხებში ჰონიგმანის დასკვნები უფრო დამაჯერებელია. მაგალითად, „იეროთეოსის“ საკითხის ჰონიგმანისეული გადაწყვეტა შერყეული არ ჩანს...“<sup>20</sup>

პატივცემული მკვლევარი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ: „...სანამ იეროთეოსის მაგიერ სხვა რეალური პირი მოძებნილი არაა, ჰონიგმანის ჰიპოთეზა შთამაგონებელია. ჯერ არ გამოჩენილა მკვლევარი, რომელმაც ამ საკითხზე უფრო დამაჯერებელი არგუმენტები მოიტანა, ვიდრე ე. ჰონიგმანმა. ენგბერდინგი ან ჰაუსჰერი? მაგრამ მათ ახალი კანდიდატის ძებნა არ დაუწყიათ...“<sup>21</sup>

ჩემი ჰიპოთეზა სწორედ ამ საკითხის (იეროთეოსის) შესახებ, მოკლე თეზისების სახით, დაიბეჭდა ქ. ოზურგეთის რაიონული გაზეთის „ალიონის“ 1994 წლის 13 ივლისის ნომერში. მე ჯერ მთლიანად მოვიყვანე გამოქვეყნებული მოსაზრების ტექსტს, შემდეგ კი უფრო კონკრეტულად ვისაუბრებ ამ საკითხებზე.

„დიონისე არეოპაგელის შესახებ მრავალი ურთიერთგამომრიცხავი ჰიპოთეზა გამოითქვა. ჩვენ მაინც მიგვაჩნია, რომ შეიძლება გამოვთქვათ განსხვავებული მოსაზრება არეოპაგეტული კორპუსის ავტორის შესახებ. „გასადებს“ ამ მხრივ წარმოადგენს იეროთეოსის დადგენა, რადგან იგი შეცდომით ერთ პიროვნებად იყო ჩათვლილი. ჩვენი აზრით, კი იგი უნდა წარმოადგენდეს „კოლექტიურ პიროვნებას“, „ღვთის ტაძარს“ ანუ იეროთეოსს (ბერძნულად).

მკითხველის ყურადღება გვინდა გავამახვილოთ შემდეგ გარემოებებზე:

1. ეფრემ მცირემ, არეოპაგეტიკული ტრაქტატების ქართულად მთარგმნელმა, განმარტა, რომ დიონისე არეოპაგელი არ ახსენებს თავის ფიზიკურად არსებულ მოძღვარს, მაგრამ მას ცნობილად თვლის.
2. ეფრემ მცირე თავის კომენტარებში აღნიშნავს, რომ დიდი დიონისე თავის მასწავლებელს უწოდებს იეროთეოსს, ხოლო ორივეს მზეს (დიონისეს და იეროთეოსის



მზეს) დიდ პავლე მოციქულს. ე. ი. დიონისე არეოპაგელი პავლე მოციქულს ასახელებს იეროთეოსის მოძღვრად, რაც დასტურდება სახარების მიხედვით.

3. დიონისეს მოჰყავს ციტატა იეროთეოსის წიგნიდან, სადაც წერია: „ვისაც ცაში და დედამიწაზე ღმერთებს უწოდებენ, ყველა ღმერთი არაა, არამედ ღმერთია მხოლოდ ჩვენი მამა, რომლისგანაც არის ყოველივე და ჩვენც სხვათა რიცხვში“. (ციტატა მოყვანილია სახარებიდან I კორინთელთა 8.5-6).

4. არეოპაგეტულ ტრაქტატებში მოყვანილია ციტატა: „მოძღუარისა მიმართ და მეგობრისა ჩუენისა, შემდგომად წმიდისა პავლესსა სიტყუათა მიერ განმტკიცებულსა“. აქ იეროთეოსი, როგორც სიბრძნის სიმბოლო, შედარებულია წმინდა პავლესთან. ეს ადგილიც სახარებიდან იღებს სათავეს.

5. იეროთეოსს მიეწერება ანგელოზთა იერარქიული პრინციპი. ძველ აღთქმაში ასეთ იერარქიულ პრინციპს წარმოადგენს იაკობის კიბე, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული სახარების იეროთეოსთან.

6. არეოპაგეტული წიგნების მიხედვით, იეროთეოსს მიეწერება ტრიადული სისტემის შექმნა სრულყოფილთა ყოფა, განსაწმენდელი, ჯოჯოხეთი. სწორედ ახალ აღთქმაში (იოანეს გამოცხადება) დასტურდება აღნიშნული ტრიადული სისტემა.

7. დიონისე თავის მოძღვარს უწოდებს უნივერსალურ მოძღვარს.

8. არეოპაგეტიკის ძირითადი დებულებანი ადამიანის გაღმრთობის იდეა, აპოფატური (ეზოტერული) შემეცნება, ყოვლისმომცველი კაცთმოყვარეობა, ღმერთმამაკაცებრივი მოქმედება ყველა ეს იდეა უკავშირდება სახარებასა და სახარების მთავარ გმირს იეროთეოსს.

9. ჩვენს მიერ აღნიშნული „კოლექტიური პიროვნება“, ანუ იეროთეოსი წარმოადგენს, როგორც ძველი აღთქმის წიგნების, ასევე ახალი აღთქმის თხზულებათა მთავარ გმირს. ბიბლიის თითქმის ყოველი სიტყვა ამ იეროთეოსს ეკუთვნის. მას სახარებაში უამრავჯერ ეწოდება „ღვთის ტაძარი“ ანუ იეროთეოსი (I კორინთელთა 6.19). იგია სახარების მიხედვით ზეციური იერუსალიმის მკვიდრი. აღსანიშნავია, რომ თავად ზეციურ იერუსალიმსაც ღვთის ტაძარი ეწოდება (იოანეს გამოცხადება 11.19).

10. დიონისე თავის მოძღვარს უწოდებს „მზეს თავისი მოძღვრებისას“ და შუამავალს ღმერთთან. ჩვენს მიერ დიონისე არეოპაგელის მოძღვარ იეროთეოსთან გაიგივებული სახარების იეროთეოსი წარმოადგენს ძველი (ასევე ახალი) აღთქმის წიგნების მთავარ გმირს. იგია ღმერთის მიერ რჩეული „პიროვნება“.

11. არეოპაგეტულ თხზულებებში ერთი იდეაც არ არის, რომ „საღვთო წერილში“ არ იყოს დაძებნილი. როგორც აღვნიშნეთ, ბიბლიის ყოველი სიტყვა, უპირველეს ყოვლისა, ჩვენს მიერ აღნიშნული „კოლექტიური პიროვნებისადმი“ არის მიმართული. უფრო მეტიც, თავად მას ეწოდება სახარებაში „საღვთო წერილი“.

12. სახარებაში ეს „კოლექტიური პიროვნება“ (კომპლექსი) პირდაპირ არის მოხსენებული როგორც ერთი პიროვნება (მათეს სახარება 24.45-47). ეს არის „პიროვნება“, რომელმაც უნდა ადასრულოს გარკვეული მისია. კერძოდ, ქრისტეს სახლეულს მიაწოდოს სულიერი საზრდო (მზრუნველობის პრინციპი, იდეა).

13. არეოპაგეტიკული ტრაქტატების მიხედვით ვგებულობთ, რომ ავტორს დაწერილი ჰქონია თხზულება „სიმბოლური თეოლოგია“. როგორც ჩანს, ამ წიგნს ჩვენამდე არ მოუღწევია. მაგრამ, როგორც დიონისეს სიტყვებიდანვე ჩანს, ამ წიგნში ყოფილა თავმოყრილი ყველა ძირითადი იდეა და დებულება, რომლებზედაცაა აგებული არეოპაგეტიკის მთელი შენობა (არეოპაგეტიკის დანარჩენი წიგნები). იქვე ირკვევა, რომ დიონისეს თავისი წიგნის საფუძვლად გამოყენებია იეროთეოსის წიგნი (ძირითადი იდეები და დებულებები, რომლებიც დიონისეს ჰქონია გამოყენებული „სიმბოლურ თეოლოგიაში“, მას უნახავს თავისი მოძღვრის იეროთეოსის წიგნში.

მეორე მხრივ არეოპაგეტიკის ანალიზს მივყავართ აზრამდე, რომ მის საფუძველს წარმოადგენს „საღვთო წერილი“ ანუ ბიბლია. სხვათა შორის, ამას თავად დიონისეც აღნიშნავს ტრაქტატში „საღმრთოთა სახელთათვის“: „...ჩუენდა უწყებად წეერილთა სიტყუებსა მრჩობლ ორკეცობითა სახელთათითა...“.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ წიგნი, რომელიც ფიგურირებს დიონისე არეოპაგელის ტრაქტატებში და მიეწერება დიონისეს მოძღვარს იეროთეოსს, შესაძლებელია გაიგივებულ იქნეს ახალი აღთქმის (სახარება) წიგნებთან.

ამრიგად, ეს „კოლექტიური პიროვნება“ წარმოადგენს ქრისტეს სულიერ ეკლესიას, ანუ 144000 წინასწარ ამორჩეულ წმინდანს ისრაელის თორმეტი ტომიდან, იგივე ქრისტეს სულიერ სხეულს (იოანეს გამოცხადება 7.4-8).

და ბოლოს, გვინდა ყურადღება გავამახვილოთ შემდეგ საკითხებზე: 1) „ღვთის ტაძარი“ ეწოდება უამრავ პიროვნებას. ამიტომ, მართლმადიდებლური ეკლესია არა თუ იოანე ევანჯელის, არამედ ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი, ამ სახელით (ღვთის ტაძრის) ვერ მიიღებდა თავის წიადში და მოსახსენებელს ვერ დაუწესებდა მას. 2) ეს უამრავი „ღვთის ტაძარი“ ანუ უამრავი პიროვნება (მკაცრად განსაზღვრული რიცხვი, კერძოდ 144000 წმინდანი) როგორც აღვნიშნეთ, სახარებაში ფიგურირებს როგორც ერთი პიროვნება, როგორც ცალკე ინდივიდი. მაგრამ, ცხადია იგია არაა ერთი პიროვნება, არამედ „კომპლექსი“. ამავდროულად, იგია აუცილებლად ისტორიული პიროვნება.

ასევე, ნუ დაგვავიწყდება, რომ მოსახსენებლის დროს მთავარ როლს ასრულებს დიონისე არეოპაგელის მოსახსენებელი 3 ოქტომბერი, როგორც დიონისეს წამების დღე. მან კი თავისთან მიიზიდა იეროთეოსის მოსახსენებელი ოთხი ოქტომბერი. ეს მიგვაჩნია ამ საკითხის ერთადერთ სწორ ახსნად. ერთხელ კიდევ ვასკვნით, რომ ჩვენს მიერ აღნიშნული იეროთეოსი არის ისტორიული პიროვნება, რომელიც უნდა დაიბადოს, იცოცხლოს და გარდაიცვალოს (სახარების მიხედვით).

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გამო მიგვაჩნია, რომ იეროთეოსი, რომელსაც არაერთგზის ახსენებს დიონისე არეოპაგელი თავის თხზულებებში, შეიძლება გაიგივებული იქნეს ჩვენს მიერ აღნიშნულ „კოლექტიურ პიროვნებასთან“ (კომპლექსთან), რომელიც როგორც ერთი პიროვნება ისე ფიგურირებს სახარებაში.

თუ ეს ასეა, მაშინ გამოდის, რომ არეოპაგეტიული ტრაქტატები, შესაძლებელია დაწერილიყო პირველ საუკუნეში და ავტორიც დიონისე არეოპაგელი ყოფილიყო. გადამწყვეტ საბუთს წარმოადგენს ისიც, რომ დიონისე არეოპაგელმა პავლე მოციქულის მონათხრობების შედგენად იცოდა იეროთეოსის ანუ „კოლექტიური პიროვნების“ (კომპლექსის) არსებობა (მოციქულთა საქმეები 17.29-31).<sup>22</sup>

და დასასრულს ზოგადად შევეხებით ზოგიერთ საკითხს:

1. როგორც ცნობილია არეოპაგეტიკის ძირითადი იდეაა „გადმართობის“ იდეა. ადამიანის „გადმართობის“ (თეოზისის) გზა სულიწმიდის მადლია და მის გარეშე შეუძლებელია. სახარებაში იგი შემდეგნაირად არის მოცემული „ნუთუ არ იცით, რომ ყველანი, ვინც მოვინათლეთ ქრისტე იესოში, მის სიკვდილში მოვინათლეთ, ამიტომ დავიმარხეთ მასთან სიკვდილში ნათლისღებით, რათა როგორც მამის დიდებით მკვდრეთით აღდგა ქრისტე, ჩვენც ვიაროთ სიცოცხლის განახლებით (რომაელთა 6, 3-4). ამდენად, არეოპაგეტიკის ძირითადი იდეა „გადმართობის“ (თეოზისის) შესახებ იესო ქრისტეს ზეციურ ეკლესიას ანუ 144000 წინასწარ ამორჩეულ წმინდანს ანუ იეროთეოსს (კომპლექსს) უკავშირდება.

2. როგორც აღვნიშნეთ, სახარებაში მოწოდებული მიმართვები, „ნუთუ არ იცით, რომ ღვთის ტაძარი ხართ და ღვთის სული ცოცხლობს თქვენში? თუ ვინმე აზიანებს ღვთის ტაძარს, ღმერთი დააზიანებს მას, რადგან წმინდაა ღვთის ტაძარი და ეს თქვენა ხართ“ (1 კორინთელთა 3,16-17). ან კიდევ „რა კავშირი აქვს ღვთის ტაძარს კერპებთან? რადგან თქვენ ხართ ცოცხალი ღვთის ტაძარი, როგორც ღმერთმა თქვა: „დავამკვიდრებო და ვივლი მათ შორის; ვიქნები მათი ღმერთი და ისინი იქნებიან ჩემი ხალხი“. (2 კორინთელთა 6,16) და ა. შ. ყოველთვის მიემართება იესო ქრისტეს ზეციურ ეკლესიას ანუ 144000 წინასწარ ამორჩეულ წმინდანს ისრაელის თორმეტი ტომიდან. აი, ვინ არის სინამდვილეში ერთადერთი და ჭეშმარიტი იეროთეოსი.

3. დიონისე არეოპაგელი იეროთეოსს უწოდებს „უნივერსალურ მოძღვარს“.

ეს „უნივერსალური მოძღვარი“ შემდეგნაირად ფიგურირებს სახარებაში „ვინაიდან ერთს სულის მიერ ეძლევა სიბრძნის სიტყვა, მეორეს ცოდნის სიტყვა იმავე სულით; ზოგს

რწმენა იმავე სულით და ზოგს განკურნებათა ნიჭი იმავე სულით; ზოგს სასწაულთმოქმედება, ზოგს წინასწარმეტყველება, ზოგს სულების გარჩევა, ზოგს სხვადასხვა ენები, ზოგს ენების განმარტება. ხოლო ყოველივე ამას აკეთებს ერთი და იგივე სული, რომელიც ყოველს უნაწილებს განცალკევებით, როგორც ნებავს“. (1 კორინთელთა 12, 8-11).

4. იეროთეოსს არეოპაგეტული ტრაქტატების მიხედვით მიეწერება წიგნი, რომელიც წარმოადგენს არეოპაგეტული ტრაქტატების საფუძველს. იეროთეოსის ამ წიგნში (ჩვენი აზრით, სახარებაში – კ. დ.) საუბარია, „იმის შესახებ, თუ იესო, რომელსაც მატერიალური სხეულის სიმძიმე ჰქონდა, როგორ მიდიოდა დაუსვენებლად წყლის ზედაპირზე“.

არსებობს კიდევ მრავალი არგუმენტი იეროთეოსთან დაკავშირებული და თავის დროზე მათაც მოვიყვანო.

ამდენად, თუ ჩვენი მოსაზრება სწორია და სახარების „იეროთეოსი“ ანუ იესო ქრისტეს ზეციური ეკლესია: „ვიხილე, აჰა, კრავი დგას სიონის მთაზე და მასთან ასორმოდლაოთხი ათასი, რომელთაც შუბლებზე აწერიათ მისი სახელი და მისი მამის სახელი. გავიგონე ხმა ზეციდან, როგორც მრავალი წყლის ხმა, და როგორც ძლიერი ქუხილის ხმა; და ხმა რომელიც გავიგონე, ჰგავდა მექნარეთა ხმას, ქნარზე რომ უკრავენ. ისინი გალობდნენ ახალ საგალობელს ტახტის წინაშე და ოთხი ცხოველისა და უხუცესთა წინაშე; და არავის შეეძლო ამ საგალობლის შესწავლა, გარდა მიწისაგან გამოსყიდული ასორმოდლაოთხი ათასისა. ეს ისინი არიან, რომლებიც არ წაბილწულან დიაცებთან, ვინაიდან ქალწულები არიან; ეს ისინი არიან, რომლებიც მიჰყვებიან კრავს, სადაც არ უნდა მიდიოდეს; ისინი არიან ადამიანთაგან გამოსყიდულნი, როგორც პირველნაყოფი ღვთისა და კრავისათვის. სიცრუე არ იპოვებოდა მათ ბაგეში; ისინი უბიწონი არიან ღვთის ტახტის წინაშე“ (იოანეს გამოცხადება 14.1-5), არის იგივე „პიროვნება“, რაც არეოპაგეტული ტრაქტატების იეროთეოსი ანუ დიონისე არეოპაგელის „ღვთაებრივი მოძღვარი“ (ჩვენი აზრით კომპლექსი) გამოდის, რომ არეოპაგეტული ტრაქტატები მართლაც პირველ საუკუნეში დაწერილა და დიონისე არეოპაგელი ყოფილა მისი ჭეშმარიტი ავტორი.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ მოციქულთა საქმეები მთლიანად „იეროთეოსის“ მოღვაწეობას ეხება და იქ დასახელებულია ასობით ისტორიული პიროვნება, რომელთაც იეროთეოსი (ღვთის ტაძარი) ეწოდებათ.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. სიმონ ყაუხჩიშვილი, წიგნში „არეოპაგეტული ძიებანი“, გვ. 8.
2. დენიზა ზუმბაძე, „დიონისე არეოპაგელი და დანტე ალიგიერი“, ჟურნალი „მაცნე“, 1972წ, №2, გვ. 52.
3. იქვე.
4. იქვე.
5. კორნელი კეკელიძე, რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი, გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1948წ. №24.
6. დენიზა ზუმბაძე, „არეოპაგეტული ძიებანი“, გვ. 6.
7. იქვე.
8. ზურაბ ხასაია, ფილოსოფია, ისტორიული კურსი, გვ. 87-89.
9. ივანე ლოლაშვილი, „არეოპაგეტული ძიებანი“, გვ. 57.
10. ივანე ლოლაშვილი, „სათნობათა კიბე“, იოანე პეტრიწი და ბიბლიური წიგნების მთარგმნელები, გვ. 99-114.
11. შალვა ნუცუბიძე, შრომები, ტომი 8, გვ. 248.
12. დენიზა ზუმბაძე, „არეოპაგეტული ძიებანი“, გვ. 7.
13. ივანე ლოლაშვილი, „არეოპაგეტის პრობლემები“, გვ. 47-56.

14. იქვე.
15. აკაკი გაწერელია, „რუსთაველი და ქრისტიანობა“.
16. აკაკი გაწერელია, რჩეული ნაწერები, ტომი I გვ. 36.
17. იქვე, გვ. 452.
18. აკაკი გაწერელია, „რუსთაველი და ქრისტიანობა“.
19. დენიზა ზუმბაძე, „დიონისე არეოპაგელი და დანტე ალიგიერი“, ჟურნალი „მაცნე“, 1972წ, №2, გვ. 6.
20. აკაკი გაწერელია, რჩეული ნაწერები, ტომი I გვ. 509.
21. აკაკი გაწერელია, რჩეული ნაწერები, ტომი I გვ. 394.
22. კახა დღონტი, ოზურგეთის რაიონული გაზეთი „ალიონი“, 13 ივლისი, 1994წ. „დიონისე არეოპაგელის საიდუმლო“.